

კერძო დაწყებითი სკოლა „ღონე ქვეყნისა“ დაფუძნებულია შპს „პედაგოგთა კვალიფიკაციის ამბლები ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის“ ბაზაზე, სადაც მუდმივად ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის კვლევა, მოთხოვნების შესაბამისი განათლების სისტემის განახლების/ ცვლილების ჩამოყალიბების საჭიროების გააზრება, დამუშავება და გამოყენება. გამომდინარე იქედან, რომ განათლება წარმოადგენს დინამიური საქმიანობის სფეროს, განვითარებისა და ინოვაციების უწყვეტ საგანს, სკოლის მისიაა:

- ✓ აწარმოოს საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ დაამკვიდროს ურთიერთპატივისცემის, პროფესიონალიზმის და სახელმწიფოებრივი აზროვნების სტანდარტების შესაბამისი გარემო;
- ✓ იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმზე;
- ✓ დამწყები პედაგოგიური კადრების აღზრდა;
- ✓ აკადემიური პერსონალის ცოდნისა და გამოცდილების სტიმულირება და ჩართვა მაღალი სტანდარტების შესაბამისი სასკოლო განათლების შექმნის პროცესში;
- ✓ მოსწავლეთა აზროვნების ფორმირება და განვითარება თვითგანათლებისა და საგანმანათლებლო რესურსებთან მუშაობისათვის, მომავალი განვითარების გზის არჩევის ალტერნატივების გააზრებისათვის (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, დასაქმებული ცხოვრებისათვის მომზადება და სხვა);
- ✓ ინფორმირებული, მოქალაქეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;
- ✓ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართვა, საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის გამომუშავება;
- ✓ მოსწავლეთა საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციების მაქსიმალური განვითარება;
- ✓ მოსწავლეებში ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციის გათვალისწინებით კომპეტენციების ფორმირება;
- ✓ მოსწავლეების მიერ საკუთარი კომპეტენციების დემონსტრირების უნარი;
- ✓ მოსწავლეებში, ცოდნის გამოყენების, ახალ პირობებში ადაპტაციის, ავტონომიურად მუშაობის, უფრო მაღალ დონეზე განვითარების უნარების ჩამოყალიბება.

მიზანი:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების (საქართველოს მთავრობის დადგენილება №84. 18.10.2004) განხორციელება.
2. გაზარდოს დამოუკიდებელი, თვითრეალიზებადი ადამიანი, რომელიც შეძლებს საკუთარი პოტენციალის, ინტელექტის, ფიზიკური თუ სულიერი თვისებების მაქსიმალურ გამოყენებას.
1. საგანმანათლებლო სივრცეში ახალი მიდგომების დანერგვა: ახალი ტიპის საგნების შემუშავება და გამოყენება;
3. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სტატუსის მოპოვება (ავტორიზაცია);
4. მაღალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის გაზრდა და დასაქმება;

რას ვაკეთებთ სკოლაში:

- ✓ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების გარემოს დაამკვიდრება მისი შესაძლებლობების /პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად და გასავითარებლად. (ამისათვის კლასში ჩაირიცხება მაქსიმუმ 14 მოსწავლე, საჭიროების შემთხვევაში კლასი დაიყოფა ორ ქვეჯგუფად)
- ✓ სკოლაში ყველა საგნის სწავლება ერთნაირი სიძლიერით;

- ✓ საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ერგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (რომელიც გულისხმობს დამატებით წიგნებს, სავარჯიშოებს, საშინაო და საკლასო დავალებებს. დახარჯული დროს და სხვა);
- ✓ მოსწავლის და პერსონალის ერთიერთპატივისცემისა და უფლებების მაქსიმალური დაცვის, სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა მხარის ზრუნვის გარემო;
- ✓ საგანმანათლებლო გამოცდილებისა და პრაქტიკის კვლევის შედეგად თანამედროვე განათლების სისტემის მოქნილობაზე და ეფექტიანობაზე ზრუნვა;
- ✓ პედაგოგთა და პერსონალთა მოქნილი სატრენინგო სისტემის ფუნქციონირება;
- ✓ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი, მდიდარი გამოცდილების მქონე პედაგოგების მოზიდვა;

სკოლა ემსახურება: ზოგადი განათლების მსურველ, სწავლების საფეხურის შესაბამისი სასკოლო ასაკის აღსაზრდელებს; სპეციალური განათლების საჭიროების მქონე აღსაზრდელებს.